საქმე №3/1285-09 წ.

სასამართლო სხდომის ოქმი

22 ივნისი 2010 წელი ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია

მოსამართლე ნინო შარაძე

სხდომის მდივანი თამარ ბარნოვი

მოსარჩელე—ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა";

მოპასუხე — საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო;

მესამე პირები: 1. საქართველოს მთავრობა;

2. ქ. თბილისის მთავრობა;

3. შპს "მულტიპლექს ენერჯი ლიმითედი"— უფლებამონაცვლე "ჯორჯიან გლობალ იუთილითი ლიმითედი";

დავის საგანი: საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების უკანონოდ ცნობისა და საჯარო ინფორმაციის გაცემის დავალების თაობაზე.

სხდომა დაიწყო 15^{00} საათზე.

მოსამართლე ხსნის სასამართლოს მთავარ სხდომას, აცხადებს მას ღიად და სხდომას მოახსენებს რომ გრძელდება საქმის განხილვა.

მოსამართლის ნებართვით სხდომის მდივანი მოახსენებს სხდომას გამოცხადებული პირების ვინაობას:

სასამართლო სხდომაზე გამოცხადდნენ მოსარჩელე ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" წარმომადგენლები ნინო გუჯარაიძე და ირმა მახათაძე, მოპასუხე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წარმომადგენელი სოფო ახალაია, მესამე პირის ქ. თბილისის მთავრობის წარმომადგენელი სალომე ბარბაქაძე, მესამე პირის საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი ირაკლი კოპალიანი და მესამე პირის შპს

"მულტიპლექს ენერჯი ლიმითედი" –უფლებამონაცვლე "ჯორჯიან გლობალ იუთილითი ლიმითედი"-ს წარმომადგენელი ბესიკ კობერიძე.

მოსამართლემ დაადგინა გამოცხადებული პირების ვინაობა და უფლებამოსილება.

მოსამართლის შეკითხვაზე მხარეებს შუამდგომლობა ან წარმოსადგენი არაფერი აქვთ და ითხოვენ დავის გაგრძელებას.

მოსამართლე აცხადებს, რომ იწყება მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპი.

სასამართლო ხელმძღვანელობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 20^1 მუხლით, რომლითაც სასამართლო (მოსამართლე) გასაიდუმლოებული საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების კანონიერების შემოწმების მიზნით საქმეს იხილავს დახურულ სხდომაზე მხარეთა დასწრების გარეშე.

სასამართლო მიმართავს მხარეებს დატოვონ სხდომის დარბაზი.

მხარეებმა დატოვეს სხდომის დარბაზი.

სხდომა დაიხურა 15^{16} საათზე.

სხდომა გაიხსნა 15^{35} საათზე.

მოსამართლის შეკითხვაზე მოპასუხე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წარმომადგენელი სოფიო ახალაძე პასუხობს, მესამე პირების თანხმობის შემთხვევაში სამინისტრო აღნიშნული ხელშეკრულების ასლს გადასცემს მოსარჩელე მხარეს, თუ ესენი არ იქნებიან თანახმა, ჩვენ ვალდებულები ვართ არ გავცეთ ეს ინფორმაცია.

მოსამართლის შეკითხვაზე მესამე პირის "ჯორჯიან გლობალ იუთილითი ლიმითედი"-ს წარმომადგენელი ბესიკ კობერიძე განმარტავს—ჩვენი სამსახურის პოზიცია ასეთია, რომ არ უნდა გამომზეურდეს, თუ სასამართლო დაგვაჟალებს ეს სხვა საკითხია, სამწუხაროდ ინფორმაცია საიდან აღმოჩნდა საჯარო რეესტრში არ ვიცი.

მოსამართლის შეკითხვაზე მოპასუხე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წარმომადგენელი სოფიო ახალაძე პასუხობს ინფორმაციის რეესტრი გვაქვს სამსახურში და მასში ასახული იქნება აღნიშნული ხელშეკრულების თაობაზე, რადგან ამ სამსახურმა უზრუნველყო ამ ინფორმაციის წარმოდგენა სასამართლოს დავალების საფუძველზე. რაც შეეხება იმას, თუ რა ვადით არის გასაიდუმლოებული, მოგახსენებთ, რომ ხელშეკრულების შესაბამის პუნქტში გასაიდუმლოების ვადა [illegible] მითითებული, იგულისხმება რომ არის უვადოდ.

მხარეები საქმეში არსებული მტკიცებულებების გამოქვეყნებას **არ ითხოვენ** და საქმის მასალები ჩაითვალა გამოკვლეულად.

მოსამართლე აცხადებს: იწყება მხარეთა პაექრობის ეტაპი.

მოსარჩელე ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" წარმომადგენელი ნინო გუჯარაიძე საპაექრო სიტყვაში ითხოვს სარჩელის დაკმაყოფილებას და განმარტავს—დაზუსტებულ სასარჩელო განცხადების მოთხოვნას მხარს ვუჭერთ და ვითხოვთ სარჩელის დაკმაყოფილებას, მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ დამატებითი მტკიცებულების სახით წარმოდგენილი ხელშეკრულების ძირითადი ტექსტი არ შეიძლება წარმოადგენდეს მყიდველის კომერციულ საიდუმლოებას. შესაბამისად, ვერც ხელშეკრულების დანართებში რომელიც, ხელშეკრულების ტექსტის თანახმად, მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და ხელშეკრულების დამატებითი განმარტებებისა და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ შეთანხმებაში კომერციული ღირებულების დოკუმენტაცია წარმოდგენილი ვერ იქნება, ამასთან, აღსანიშნავია, რომ „ჯორჯიან გლობალ იუთილითის ლიმითედის" წარმომადგენელმა სასამართლოს სხდომაზე განაცხადა, ხელშეკრულებაში წარმოდგენილი კომერციული საიდუმლოება შეეხებოდა კომპანიის მიერ მუნიციპალური პროექტების განხორციელებას. მუნიციპალური პროექტების განხორციელებას ხელშეკრულებაში ეთმობა ერთაბზაციანი პარაგრაფი (11.4), რომელსაც შეუძლია ქონდეს კომერციული ღირებულება. ხელშეკრულება არა მარტო შეიცავს გარემოსდაცვით ინფორმაციას რაც, ნათლად გვქონდა დასაბუთებული სარჩელში და იგივეს ადასტურებს დამატებითი მტკიცებულების სახით წარმოდგენილი ხელშეკრულების ტექსტი, არამედ მთელი დოკუმენტი წარმოადგენს გარემოსდაცვით ინფორმაციას. ჩვენს მიერ დამატებითი მტკიცებულების სახით წარმოდგენილი ხელშეკრულების 7.6. მუხლი დ) ქვეპუნქტის თანახმად: „მყიდველი" აცნობიერებს და აღიარებს, რომ „საწარმოების" და „კომპანიის" წილების გასხვისების მიზანს წარმოადგენს ქ. თბილისის, რუსთავის და მცხეთის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესება გარემოზე ზიანის მიუყენებლად" - ანუ, საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედს" შორის გაფორმებული ხელშეკრულება, ამ მიზნის მისაღწევად განხორციელებული ქმედების საწარმოების გასხვისების შესახებ ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტაციაა. ის, რომ მსგავს ინფორმაციას აქვს გარემოსდაცვითი ღირებულება აღნიშნულია „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" (ორჰუსის) კონვენციის მე-2 მუხლში, რომლის თანახმად, ინფორმაცია ისეთ საკითხებზე როგორიცაა (1) წყლის, როგორც გარემოს შემადგენელი ელემენტის მდგომარეობა; (2) ისეთი მოქმედებები და ღონისძიებები, აგრეთვე ადმინისტრაციული ღონისძიებები, გეგმები, რომლებიც [illegible] ან სავარაუდოა, რომ მოახდენს წყლის (გარემოს შემადგენელ ელემენტზე) მდგომარეობაზე და (3) ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა და უსაფრთხოება, მისი ცხოვრების პირობების მდგომარეობა, იმდენად, რამდენადაც მათზე ზეგავლენას [illegible] ან სავარაუდოა, რომ მოახდენს წყლის მდგომარეობა ან წყალთან დაკავშირებული ქმედებები და

ღონისძიებები - წარმოადგენს გარემოსდაცვით ინფორმაციას. ხელშეკრულება შეიცავს ვრცელ ინფორმაციას ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ- ხელშეკრულების თითქმის ყველა მუხლში წარმოდგენილია ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოების უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ. როგორც ჩვენ მივუთითებდით სარჩელში, ხელშეკრულების გასაიდუმლოებისას არ იქნა დაცული საჯარო ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის წესი - ამ ფაქტს ადასტურებს ჩვენს მიერ დამატებითი მტკიცებულების სახით წარმოდგენილი დოკუმენტი, რომელშიც არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია, რომელიც დაადასტურებდა, რომ მყიდველმა მოითხოვა ხელშეკრულების სრული ტექსტის გასაიდუმლოება, ხოლო ხელშეკრულების ხელმომწერმა ადმინისტრაციულმა ორგანოებმა მიიღეს გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე როგორც მოპასუხე მიუთითებდა თავის შესაგებელში, ხელშეკრულებაში მართლაც არის მუხლი 14.1, რომლის თანახმად, „არც ერთი მხარე არ გააკეთებს განცხადებას „წილის" ნასყიდობის ან ნებისმიერი დაკავშირებული საკითხის შესახებ სხვა მხარეების წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე". გარდა იმისა, რომ თავისთავად ეს მუხლი არის უკანონო - რადგან, ითხოვს „წილის" ნასყიდობასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის შესახებ ინფორმაციის გასაიდუმლოებას - აღნიშნული მუხლი არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ტექსტის გასაიდუმლოების შესახებ, აღნიშნულ მუხლში წარმოდგენილი შეზღუდვა ეხება წილის გასხვისების შესახებ განცხადებას. ამასთან, ერთი სიტყვაც არ არის ნახსენები ინფორმაციის საიდუმლოებაზე და საერთოდ არ არის ნახსენები კომერციული საიდუმლოება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოპასუხეების მიერ ხელშეკრულების აღნიშნული მუხლი შესაგებელში არასრულად იყო წარმოდგენილი. ჩვენს მიერ დამატებითი მტკიცებულების სახით წარმოდგენილი ხელშეკრულების თანახმად, მუხლი 14.1-ში აღნიშნულია: „14.2 პუნქტის გათვალისწინებით, არც ერთი მხარე არ გააკეთებს განცხადებას „წილის" ნასყიდობის ან ნებისმიერი დაკავშირებული საკითხის შესახებ სხვა მხარეების წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე". ხელშეკრულების 14.2 მუხლის თანახმად, კი „ ორივე მხარე უფლებამოსილია გააკეთოს განცხადება „წილის" ნასყიდობის ან ნებისმიერი დაკავშირებული საკითხის შესახებ, თუ ეს მოითხოვება. 14.2.1. სათანადო იურისდიქციის მქონე კანონმდებლობით. მიგვაჩნია, რომ ხელშეკრულების ეს მუხლი ცალსახად მეტყველებს იმაზე, რომ დოკუმენტი საჯაროა, ის გათვალისწინებით, რომ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დოკუმენტი წარმოადგენს გარემოსდაცვით ინფორმაციას და შეიცავს [illegible] ინფორმაციას ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ, ანუ ინფორმაციას, რომელზე გასაიდუმლოება დაუშვებელია, ამასთანავე არ არსებობს ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება დოკუმენტის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის შესახებ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების არსებობის [illegible] ბაზე მიუთითებდა პრემიერ-მინისტრი, როდესაც არ დააკმაყოფილა მწვანე ალტერნატივას

ადმინისტრაციული საჩივარი, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, დოკუმენტი არის საჯარო და ხელშეკრულების 14.2 მუხლის თანახმად, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო უფლებამოსილი იყო დაეკმაყოფილებინა ჩვენი მოთხოვნა ხელშეკრულების ასლის მოწოდების თაობაზე.

აქედან გამომდინრე დოკუმენტი საჯაროა და მთლიანად ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ჩვენთვის.

მოსარჩელე ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" წარმომადგენელი ირმა მახათაძე საპაექრო სიტყვაში ითხოვს სარჩელის დაკმაყოფილებას—სასარჩელო მოთხოვნას მხარს ვუჭერთ და ვითხოვთ სარჩელის დაკმაყოფილებას. მიუხედავად იმისა რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის თანახმად, ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში. თუ არსებობს დედნის დაზიანების საფრთხე, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობის ქვეშ მისი გაცნობის შესაძლებლობა ან წარუდგინოს სათანადო წესით დამოწმებული ასლი, ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში. თუ არსებობს დედნის დაზიანების საფრთხე, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობის ქვეშ მისი გაცნობის შესაძლებლობა ან წარუდგინოს სათანადო წესით დამოწმებული ასლი. საქმის განხილვით და საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება, რომ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას, ვინაიდან ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27^2 მუხლის I ნაწილში მოცემულია კომერციული საიდუმლების დეფინიცია და მოწინააღმდეგე მხარე ვერ მიუთითებს, ვერ ხსნის და ვერ ასაბუთებს ამ ნორმაზე დაფუძნებით რატომ არის განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია კომერციული საიდუმლოება, გარდა ამისა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27^2 მუხლის II პუნქტი ადგენს ვალდებულებას, რომ იმ შემთხვევაში თუ ინფორმაცია კომერციული საიდუმლოა პირმა ამის შესახებ უნდა მიუთითოს და ამის შესახებ უნდა არსებობდეს წერილობითი დამადასტურებელი დოკუმენტი, ასეთად ხელშეკრულების ამ პუნქტს ვერ მივიჩნევთ, მისი შინაარსიდან გამომდინარე, რამეთუ მე-14 მუხლით გაკეთებულია განცხადება ფასების ნასყიდობის ამ ნებისმიერ საკითხის შესახებ განცხადების [illegible] აკრძალვის თაობაზე სხვა მხარეებთან წინასწარი თანხმობის გარეშე, ამიტომაც არ შეიძლება ჩაითვალოს მიჩნეული 27^2 მუხლის მესამე ნაწილით წარდგენილ ინფორმაციად, [illegible] საჯარო დაწესებულებას 10 დღის ვადაში ამ ინფორმაციის საფუძველზე არ მიუღია [illegible] მიუჩნევია

მოცემული ინფორმაცია კომერციულ საიდუმლოებად, აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი მოწინააღმდეგე მხარეს არ წარმოუდგენია, რაც გვაძლევს იმის მტკიცების საშუალებას, რომ ვთქვათ, რომ საჯარო ინფორმაცია, რომელიც მოსარჩელეს აქვს მოთხოვნილი არ არის კომერციული საიდუმლოება. ჩვენ ასევე მიუთითებთ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლზე, რომლის თანახმად მოპასუხეს ეკისრება ვალდებულება დაასაბუთოს თავის შესაგებელი და წარადგინოს მტკიცებულებები, რაც მოცემულ შემთხვევაში ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ ვერ შეძლო.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი ეწინააღმდეგება საერთაშორისო აქტებით და საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით აღიარებული ინფორმაციის თავისუფლებისა და გამოხატვის რეალიზაციას. კერძოდ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ზემოაღნიშნული ქმედება ეწინააღმდეგება: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლს, რომლის თანახმადაც ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას ჰქონდეს მოსაზრებანი, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები. საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლს, რომლის თანახმად ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვა საშუალებით; საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლს, რომლის თანახმად ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ დაცულ სხვა ოფიციალურ დოკუმენტს, თუ ისინი არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. ჩემს მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია არ განეკუთვნება სახელმწიფო, პროფესიულ და კომერციულ საიდუმლოებას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლს; რომლის თანახმადაც ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლს, რომლის თანახმადაც საჯარო დაწესებულებას ეკისრება ვალდებულება გასცეს საჯარო ინფორმაცია დაუყოვნებლივ ან არაუგვიანეს 10 დღისა. თუ საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის საჭიროა 10 დღიანი ვადა, საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოთხოვნისთანავე აცნობოს ამის შესახებ განმცხადებელს; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42-ე მუხლის „ა" პუნქტს, რომლის თანახმადაც ყველას აქვს უფლება იცოდეს ინფორმაცია გარემოს შესახებ, ამდენად, მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ სახეზეა საერთაშორისო აქტების და საქართველოს კონსტიტუციის, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმებით დადგენილი მოთხოვნების დარღვევები.

მოპასუხე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წარმომადგენელი სოფიო ახალაძე საპაექრო სიტყვაში ითხოვს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას და განმარტავს, მხარე აქცენტს აკეთებდა ნასყიდობის ხელშეკრულების 14.1 მუხლზე, რომლის თანახმად "არც ერთი მხარე არ გააკეთებს განცხადებას "წილის" ნასყიდობის ან ნებისმიერი დაკავშირებული საკითხის შესახებ სხვა მხარეების წინასწარი წერილობით თანხმობის გარეშე, მითითება ამ მუხლზე უსაფუძვლოა, აქ არის კიდევ 12.4 ამ მუხლი, რომლის თანახმად ეკონომიკის სამინისტროს ქონდა ვალდებულება, ინფორმაცია წინადადებები და შეთანხმებები, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში მეორე მხარის წინასწარი თანხმობის გარეშე არ აცნობოს, რადგან იგი ითვლება კონფიდენციალურად, ანუ მეორე მხარის წინასწარი შეთანხმების გარეშე არ უნდა შეატყობინონ ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს. ჩვენ მიგვაჩნია რომ ფორმა დაცულია, შეთანხმებულია მხარეებთან და ასახვა ჰპოვა ხელშეკრულებაში, ანუ არსებობდა მხარეთა ნება და რაც აისახა ხელშეკრულებაში.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ხელშეკრულების დანართებში არის უძრავი ქონების საბანკო გარანტიებზე საუბარი, ეკონომიკის სამინისტრომ აიღო ვალდებულება, რომ თანხმობის-გარეშე არ მიეწოდებინა ეს ინფორმაცია, ჩვენ ამ ვალდებულებას ვასრულებთ.

ხელშეკრულების აღნიშნული მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე, ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" მიერ ნასყიდობის ხელშეკრულების ასლის გადაცემის მოთხოვნის წერილის საფუძველზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ ხელშეკრულების მონაწილე მხარეებისათვის დაგზავნილი იქნა წერილები, აღნიშნული წერილით სამინისტრო მხარეებს თხოვდა მათ მოსაზრებას ასოციაცია მწვანე ალტერნატივასათვის ხელშეკრულების ასლის გადაცემის შესახებ. წარმოდგენილ სარჩელთან დაკავშირებით ეკონომიკური განვითარების სამინისტრო განმარტავს, რომ დასახელებული უწყებების თანხმობის შემთხვევაში სამინისტრო აღნიშნული ხელშეკრულების ასლს გადასცემს მოსარჩელე მხარეს, ჩვენ არ ვართ წინააღმდეგი, რომ იყოს მხარეთა თანხმობა, გავცემთ ამ ინფორმაციას, თუმცა ვაღიარებთ რომ მხარე ამბობს რომ ეს არის მისი კომერციული საიდუმლოება და არ ვედავებით. მოგახსენებთ რომ ადმინისტრაციული წარმოება ჩატარდა, ცალკე აქტად არ არის გამოცემული, მაგრამ ხელშეკრულების პუნქტში არის ჩადებული ინფორმაციის გასაიდუმლოების შესახებ, ვადა არ არის მითითებული, იგულისხმება რომ არის უვადო.

მესამე პირის საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი ირაკლი [illegible] საპაექრო სიტყვაში განმარტავს—ჩვენ ადმინისტრაციულ ორგანოებს განსხვავებული [illegible] და პოზიცია არ გვექნება, ჩვენ ვართ დამოკიდებული "ჯორჯიან [illegible]

ლიმითედზე", რადგან ეს არის კომერციული საიდუმლოება, მე ვეთანხმები მოპასუხე მხარის პოზიციას, სარჩელში მითითებული საფუძველი არის დაუსაბუთებელი, მე ვაქვეყნებ 2009 წლის 2 აპრილის №24/72 წერილს, "მწვანე ალტერნატივას" მოწერილობაზე, რომ ადმინისტრაციული საჩივარი დარჩა განუხილველი, ჩვენ ვიცით რომ ადმინისტრაციული საჩივრის საგანი არ შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულება, ამ შემთხვევაში ხელშეკრულებაში იყო გამოვლენილი ნება, გადაწყვეტილება არ არსებობდა და დარჩა განუხილველი, ვითხოვთ უარი უთხრათ მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე და დავამატებთ რომ, არსებობდა მხარეთა ნება და ასახვა ჰპოვა ხელშეკრულებაში.

მესამე პირის ქ. თბილისის მთავრობის წარმომადგენელი სალომე ბარბაქაძე საპაექრო სიტყვაში ითხოვს სარჩელის დაკმაყოფლებაზე უარის თქმას და განმარტავს, ქ. თბილისის მთავრობა ეთანხმება ახსნა-განმარტების ეტაპზე დაფიქსირებულ პოზიციას და დამატებით დავამატებთ შემდეგს: ის ფაქტი, რომ ხელშეკრულების ტექსტი მოხვდა მოსარჩელეთა ხელში ადასტურებს მხოლოდ იმ გარემოებას, რომ მათ დღეის მდგომარეობით ფაქტობრივად აქვთ ის მონაცემები, რასაც ითხოვდნენ, თუმცა ქ. თბილისის მთავრობას მიაჩნია, რომ აღნიშნული გარემოების სამართლებრივი შეფასება არ უნდა იყოს საფუძველი მოსარჩელეთა მხრიდან იმის მტკიცებისა, რომ ხელშეკრულება არ იყო გასაიდუმლოებული. ხელშეკრულება იყო და არის კომერციული საიდუმლოების შემცველი და დღეს უკვე, როცა მისი ტექსტი აქვს თავად მოსარჩელე მხარეს თავად შეუძლია დარწმუნდეს ამაში. ხელშეკრულების ტექსტშივეა ჩანაწერი იმის თაობაზე, რომ ხელშეკრულება გასაიდუმლოებულია. რაც შეეხება სასარჩელო მოთხოვნის შემცირებას, აღნიშნულთან დაკავშირებითაც სამსახურის პოზიცია ერთგვაროვანია. №1 შეთანხმება არის ხელშეკრულების დანართი და მისი შემადგენელი ნაწილი, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი იზიარებს ძირითადი ხელშეკრულების სამართლებრივ მდგომარეობასა და სტატუსს. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ხელშეკრულების ტექსტის მოსარჩელეთა ხელში აღმოჩენით არ დასტურდება მისი საჯაროობა, აღნიშნული წარმოადგენს მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარ შედეგს, რომელიც ვერ შეცვლის სამართლებრივ სტატუსს. ხოლო სამართლებრივ სტატუსად რჩება მისი კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27^2 მუხლის მე-3 პუნქტი ადმინისტრაციულ ორგანოს აძლევს შესაძლებლობას კომერციულ საიდუმლოებად მიიჩნიოს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია, ხოლო ეს უკანასკნელი ადგენს, რომ კომერციულ საიდუმლოებას წარმოადგენს ინფორმაცია კომერციული [illegible]ობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინ[illegible]ორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად, ან/და რომელიც წარმოადგენს [illegible]ახლეს ან [illegible]ნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინ[illegible]ციას, რომლის

გამჟღავნებამაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას. რაც შეეხება კომერციული საიდუმლოების „განსაიდუმლოებას", როგორც ეს მითითებულია სასარჩელო მოთხოვნაში. აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა განიმარტოს, რომ ტერმინი „განსაიდუმლოება" პოზიტიურ კანონმდებლობაში მოხსენიებულია მხოლოდ საქართველოს კანონში „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" და აღნიშნული კანონის 1-ლი მუხლის მე-5 ნაწილით განმარტებულია როგორც „ამ კანონით დადგენილ სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობებთან დაშვებისა და მათი გავრცელების შეზღუდვის მოხსნა", ანუ "სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონით, ხოლო აღნიშნული კანონი არეგულირებს ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნევასთან, მის გასაიდუმლოებასთან და დაცვასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს ქვეყნის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების დასაცავად თავდაცვის, ეკონომიკის, საგარეო ურთიერთობის, დაზვერვის, სახელმწიფო უშიშროებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროში. შესაბამისად განსაიდუმლოება ეხება მხოლოდ სახელმწიფო საიდუმლოებას, ხოლო ჩვენს შემთხვევაში სახეზეა კომერციული საიდუმლოება. ეს უკანასკნელი განმარტებულია მხოლოდ ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში, რომელშიც განსაიდუმლოებაზე არაფერია ნათქვამი. იმის გათვალისწინებით, ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად საჯარო სამართლებრივ ურთიერთობებში კანონის ანალოგია გამოიყენება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს კომერციულ საიდუმლოებად აღიარებული ინფორმაციის განსაიდუმლოებას. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსარჩელემ მიუთითოს ამგვარ ნორმაზე. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ქ. თბილისის მთავრობას მიაჩნია, რომ სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს. დავამატებ შემდეგს, დაუშვათ რომ დაარღვია ადმინისტრაციულმა ორგანომ 10 დღიანი ვადა და 12 დღეში მიიღო გადაწყვეტილება რამე შეიცვლება შედეგობრივად? იყო ნება გამოხატული და იგი აისახა ხელშეკრულებაში.

მესამე პირის შპს "ჯორჯიან გლობალ იუთილითი ლიმითედი"-ს წარმომადგენელი ბესიკ კობერიძე საპაექრო სიტყვაში ითხოვს უარი ეთქვას მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე, მე ვეთანხმები ახსნა-განმარტებას და დავამატებ რომ ჩვენ კერძო სამართლის იურიდიულმა პირებმა გავაფორმეთ ხელშეკრულება სახელმწიფოსთან, გვაქვს კანონიერი ნდობა, ხელშეკრელებაში მოხდა შეთანახმება, რომ ფეხლა მხარე აღიცავდა შეთანხმებას, მე მქონდა სახელმწიფოს მხრიდან ნდობა, რომ ჩემი კომერციული საიდუმლოება იქნებოდა დაცული, ხელშეკრულების თანახმად ვალდებულებები გვაქვს 2018 წლამდე, შესაბამისად უვადოდ არ არის გასაიდუმლოებული, მე ვფიქრობ, რომ 2018 წლამდე პერიოდში ინფორმაცია უნდა იყოს კონფიდენციალური.

მოსამართლე აცხადებს, რომ მხარეთა პაექრობა დამთავრებულია.

მოსამართლე აცხადებს, რომ სასამართლო გადადის რეპლიკის სტადიაზე.

მოსარჩელე ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" წარმომადგენელი ნინო გუჯარაიძე რეპლიკით—ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი გვაძლევს უფლებას გადაწყვეტილება გავასაჩიეროთ ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში ან სასამართლოში, გადაწყვეტილება თუ არსებობს, რატომ დაიწუნეს, რაც შეეხება კონსტიტუციური უფლებებს შელახვას, მოგახსენებთ რომ ეს კომპანია არის მონოპოლიის მფლობელი, დოკუმენტი საჯაროა, იმის გათვალისწინებით, რომ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დოკუმენტი წარმოადგენს გარემოსდაცვით ინფორმაციას და შეიცავს ინფორმაციას ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ, ამასთანავე არ არსებობს ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება დოკუმეტის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის შესახებ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების არსებობის აუცილებლობაზე მიუთითებდა პრემიერ-მინისტრი, როდესაც არ დააკმაყოფილა მწვანე ალტერნეტივას ადმინისტრაციული საჩივარი ის, რომ მსგავს ინფორმაციას აქვს გარემოსდაცვითი ღირებულება აღნიშნულია „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" (ორჰუსის) კონვენციის მე-2 მუხლში, რომლის თანახმად, ინფორმაცია ისეთ საკითხებზე როგორიცაა წყლის, როგორც გარემოს შემადგენელი ელემენტის მდგომარეობა; ისეთი მოქმედებები და ღონისძიებები, აგრეთვე ადმინისტრაციული ღონისძიებებიო, გეგმები, რომლებიც გავლენას ახდენს ან სავარაუდოა, რომ მოახდენს წყლის მდგომარეობაზე და ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა და უსაფრთხოება, მისი ცხოვრების პირობების მდგომარეობა, იმდენად, რამდენადაც მათზე ზეგავლენას ახდენს ან შესაძლოა, რომ მოახდენს წყლის მდგომარეობა ან წყალთან დაკავშირებული ქმედებები და ღონისძიებები - წარმოადგენს გარემოსდაცვით ინფორმაციას. ის რომ საჯაროს ვებგვერდზე დაიდო ხელშეკრულება 2010 წლის აპრილიდან, რა ზიანი განიცადა, რა საფრთხის წინაშე დადგა კომპანია, დანართები რომლებიც მითითებულია ხელშეკრულებაში №3 დანართი არის აქტივების ჩამონათვალი, №2 არის ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება. 2008 წლის 14 მაისს გაფორმებული ხელშეკრულება წარმოადგენს გეგმას, რომელიც აუცილებლად მოახდენს გავლენას გარემოსა და ადამიანების ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42-ე მუხლის "ა" პუნქტის თანახმად, ეს არის ინფორმაცია, რომლის გასაიდუმლოებაც დაუშვებელია, ასევე - როგორც აღვნიშნეთ ხელშეკრულება არ ყოფილა მიჩნეული კომერციულ საიდუმლოებად. კანონით დადგენილი წესით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42-ე მუხლის თანახმად, ყველას აქვს უფლება ფლობდეს ინფორმაციას, რომელიც კანონით გათვალისწინებულ

პირად საიდუმლოებად. ასევე ეს არის ის ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომელიც აუცილებლად იქონიებს გავლენას ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე და რომლის გასაიდუმლოებაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42-ე მუხლის თანახმად დაუშვებელია.

მოსარჩელე ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" წარმომადგენელი ირმა მახათაძე რეპლიკით—სასამართლოს ყურადღებას მივაქცევ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლზე, რომელსაც ვაქვეყნებ, მოცემულ შემთხვევაში კანონით გათვალისწინებულ შემთხვევას ადგილი არა აქვს, რაც შეეხება დადგენილ წესს, რომელსაც იგივე კოდექსი ადგენს ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოდ მიჩნევისათვის ვთვლით რომ მოცემული ინფორმაცია არის ღია და არ განეკუთვნება კომერციულ საიდუმლოებას, მხარეები ერთხმად აღნიშნავენ რომ მოცემული ინფორმაცია არის კომერციული საიდუმლოება და ამის გამო გავაკეთეთ დათქმა ხელსეკრულებაშიო, ამ შემთხვევაში საჯარო დაწესებულებას 10 დღის ვადაში უნდა მიეღო გადაწყვეტილება კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის თაობაზე, რაც არ გაუკეთებია და აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება არ წარმოუდგენია, რადგან მტკიცების ტვირთი მას ეკისრება, ასევე მას ეკისრება ვალდებულება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27^2 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, გაატაროს საჯარო რეესტრში ინფორმაციები, როგორც მოწინააღმდეგე ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენელმა განმარტა, საჯარო რეესტრი არსებობს თუმცა, ვერ წარმოადგინა საჯარო რეესტრში როგორც კომერციული საიდუმლოების დარეგისტრირების დოკუმენტი, შესაბამისად ინფორმაცია ღიაა და ექვემდებარება გადმოცემას, ისინი არიან ამ საზოგადოების წევრები და გარემოს დაცვითი საკითხი მათთვისაც არსებითია რომ იცხოვრონ ჯანსაღ გარემოში.

მოპასუხე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წარმომადგენელი სოფიო ახალაძე რეპლიკით—ხელშეკრულება წარმოადგინა შესაბამისმა სამსახურმა, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნულ საკითხს და ალბათ იქნება რეესტრში გატარებული.

მესამე პირის ქ. თბილისის მთავრობის წარმომადგენელი სალომე ბარბაქაძე რეპლიკით— მე სასამართლოს ყურადღებას მივაქცევ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27^2 მუხლის მესამე ნაწილზე, სადაც მითითებულია, რომ გადაწყვეტილებას იღებს ღიაობის თაობაზე და არა გასაიდუმლობის თაობაზე, იმავე მუხლის მე-IV ნაწილში წერია, რომ გაასაჩივროს საკითხი და არა გადაწყვეტილება.

მესამე პირების წარმომადგენლები რეპლიკის უფლებით არ სარგებლობენ.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 284-285-ე მუხლებით და

მოსარჩელე ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" სარჩელზე აღძრულ №3/1285-09 ადმინისტრაციულ საქმეზე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება გადაიდოს ა/წლის 30 ივნისს 17^{00} სთ.

მხარეები სხდომაზე გამოცხადების შესახებ გაფრთხილებული იქნენ კანონით დადგენილი წესით.

სასამართლო სხდომა დახურულად გამოცხადდა 16^{55} სთზე.

მოსამართლე: ნინო შარაძე

სხდომის მდივანი: თამარ ბარნოვი